ხელშეკრულება N6
საქონლის შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

19 აგვისტო 2016 წელი

ქ.თბილისი

ერთის მხრივ შპს „სტარტაპ საქართველო" (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა მენაბდის სახით და მეორეს მხრივ შპს „ჯეოსტილი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის კონსტანტინე მელაძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ინსპექტირება" - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საოფისე ავეჯის (CPV 39130000) შესყიდვა.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. შესასყიდი საქონლის მახასიათებლები:

3.1.1. სამუშაო მაგიდა 130X65X75სმ - 8 (რვა) ცალი;

3.1.2. კარადა კომბინირებული 135X55X19სმ - 2 (ორი) ცალი;

3.1.3. სკამი საოფისე - 12 (თორმეტი) ცალი;

3.1.4. სავარძელი (გორგოლაჭებზე) – 8 (რვა) ცალი.

3.2. საქონლის მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღე.

3.3. საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ვუკოლ ბერიძის ქ. N6.

4. სახელშეკრულებო ღირებულება

4.1. საერთო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 4 364 (ოთხი ათას სამასსამოცდაოთხი) ლარს, მ.შ:

4.1.1. სამუშაო მაგიდა 130X65X75სმ - ერთეულის ფასი - 235 (ორასოცდათხუთმეტი) ლარი;

4.1.2. კარადა კომბინირებული 135X55X19სმ - ერთეულის ფასი - 400 (ოთხასი) ლარი;

4.1.3. სკამი საოფისე - ერთეულის ფასი - 37 (ოცდაჩვიდმეტი) ლარი;

4.1.4. სავარძელი (გორგოლაჭებზე) – ერთეულის ფასი - 155 (ასორმოცდათხუთმეტი) ლარი.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. საქონლის მიწოდების შემდეგ „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი;

5.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, „მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე;

5.3. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

5.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, საქონლის მიწოდების შემდეგ, 5.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. გარანტია

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

6.2. გარანტიის მოქმედების ვადა შეადგენს - 1 (ერთი) წელს.

6.3. შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.5. გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1. აწარმოოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი;

7.1.2. განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, უხარისხო (წუნდებული) ან არასრული მოცულობით წარმოდგენილი საქონლის მიღებაზე;

7.1.3. ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს ხარისხის კონტროლი, რისთვისაც შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ექსპერტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე–5 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

7.3.1.მიიღოს მიწოდებული საქონლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

7.4.2. განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

7.4.3. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების ჩატარების დროს.

8. ინსპექტირება

8.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად;

8.2. ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს შესყიდვების სპეციალისტი ნათია ოდიშარია;

8.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ ხარისხის კონტროლის ჩატარების შემთხვევაში თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, შემსყიდველი აცნობებს მიმწოდებელს წერილობით ამის შესახებ, ხოლო მიმწოდბელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;

9.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

9.6. ხელშეკრულება ან მისი რომელიმე დებულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%–ს ოდენობით;

10.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%–ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 1 ოქტომბრამდე.

14. განსაკუთრებული პირობები

14.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს იურიდიული ძალა აქვს;

14.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ,,მიმწოდებელს", ხოლო ორი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

15. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შპს „სტარტაპ საქართველო"	**შპს „ჯეოსტილი"**
ი/მ ქ. თბილისი, ინოვაციების ქ. N7	**ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. N5**
ფ/მ ქ. თბილისი, ვუკოლ ბერიძის ქ. N6	**სს „თი ბი სი"**
ს/კ 404 515 468	**ბანკის კოდი: TBCBGE22**
	ა/ა GE94 TB19 0003 6020 1000 09
	ს/კ 205 125 933
დირექტორი	**დირექტორი**
ვაჟა მენაბდე	**კონსტანტინე მელაძე**